

## **ტესტის სახელწოდება**

ლიპაზა

### **რას იკვლევს მოცემული ტესტი?**

მოცემული ტესტი სისხლში ლიპაზას დონეს განსაზღვრავს.

ლიპაზა ფერმენტია, რომელიც პანკრეასის მიერ გამომუშავდება და პანკრეასის სადინრით თორმეტგოჯა ნაწლავში გამოიყოფა, სადაც იგი საკვების სახით მიღებული ცხიმების მონელებაში მონაწილეობს.

ჩვეულებრივ, ლიპაზას კონცენტრაცია სისხლში დაბალია, მაგრამ როდესაც პანკრეასის უჯრედების დაზიანება ან პანკრეასის სადინრის დახშობა ხდება, სისხლში მისი დონე იმატებს.

### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?**

ლიპაზას ანალიზი, ძირითადად, მწვავე პანკრეატიტის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისთვის ინიშნება, თუმცა იგი ასევე შეიძლება დაინიშნოს ზოგიერთი სხვა დაავადების დროსაც. აღსანიშნავია, რომ ქრონიკული პანკრეატიტის შემთხვევაში, მოცემული ანალიზი ნაკლებად ინფორმატიულია, რადგან ლიპაზას დონე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რჩება მომატებული, რაც კლინიკური პროგრესის შეფასების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

ჩვეულებრივ, ლიპაზას ანალიზს ამილაზას ტესტთან ერთად ნიშნავენ. აღსანიშნავია, რომ მწვავე პანკრეატიტისას, ლიპაზას და ამილაზას დონეები თითქმის ერთდროულად იწყებს მომატებას, მაგრამ ლიპაზას კონცენტრაცია უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება მომატებული.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი?**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?**

მოცემული ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთმა მედიკამენტმა (მაგ. თიაზიდური შარდმდენები, კოდეინი, ინდომეტაცინი, ქოლინერგული საშუალებები, პერორალური კონტრაცეპტივები, ა.შ.) ლიპაზას დონის მომატება შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა მკურნალ ექიმთან კონსულტაცია და ტესტისთვის მოსამზადებლად მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.

### **შედეგების ინტერპრეტაცია**

ლიპაზას დონის მომატება პანკრეასის სხვადასხვა დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს. მწვავე პანკრეატიტისას, ლიპაზას დონე ხშირად ძალიან მომატებულია (მაგ. ნორმის ზედა ზღვარზე 5-10-ჯერ მაღალი). ჩვეულებრივ, ლიპაზას დონე მწვავე პანკრეატიტის შეტევის დაწყებიდან 4-8 სთ-ში იმატებს და მომატებული რჩება 7-14 დღის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ლიპაზას დონის მიხედვით მწვავე პანკრეატიტის შეტევის სიმძიმის შეფასება არ შეიძლება.

ლიპაზას დონის მომატება შეიძლება ასევე გამოიწვიოს პანკრეასის სადინრის დახშობამ, პანკრეასის კიბომ და ზოგიერთმა სხვა დაავადებამ.

ლიპაზას ნორმაზე დაბალი დონე შეიძლება პანკრეასის იმ უჯრედების დაზიანებით იყოს გამოწვეული, რომლებიც ლიპაზას გამოიმუშავენ. ეს კი შეიძლება სხვადასხვა დაავადებას უკავშირდებოდეს, მაგალითად, მუკოვისციდოზს.